ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 214

"22" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან არსებული უსახელო სამი გასასვლელისთვის ვაზის I, II და III გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ვაზის ქუჩასთან არსებულ უსახელო სამ გასასვლელს მიენიჭოს ვაზის I, II და III გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X- 486,973.197
Y- 4,617,581.134
X- 487,012.176
Y- 4,617,556.039
III ფეხ.
II ფეხ.
I ფეხ.
X- 486,910.104
Y- 4,617,447.498
X- 487,058.214
Y- 4,617,519.659
X- 486,936.662
Y- 4,617,388.349
X- 486,980.748
Y- 4,617,352.446